

კავკასიურ-ახლო აღმოსავლური

ქრებული

XVI



ავანე ჯაფარიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტისტიკის ინსტიტუტი



პროგრამა "ლოგოსი"

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტისტიკის სფეროში

ავანე ჯაფარიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტისტიკის ინსტიტუტი
კომპიუტერული გრაფიკის განყოფილება
18.01.2016



2015
თბილისი

**Caucasian and Near Eastern
Studies**

XVI

Winterschool "Power and Ideology in Ancient World"
(Tbilisi, February 2014)

edited by Irene Tatišvili, Levan Gordeziani

Tbilisi
2015

**კავკასიურ-
ახლო აღმოსავლური კრებული**

XVI

ზამთრის სკოლა "ხელისუფლება და იდეოლოგია
ძველ სამყაროში"
(თბილისი, თებერვალი 2014)

ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა

თბილისი
2015

311-1644

~~6437~~

სარჩევი

სარჩევი.....5

ლევან გორდეზიანი
 ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში (ზამთრის სკოლა, თბილისი, 11-14 თებერვალი 2014)..... 7

Levan Gordeziani
 POWER AND IDEOLOGY IN ANCIENT WORLD (WINTER SCHOOL, TBILISI 11-14.02.14) 19

სილვია ჰუტერ-ბრაუნსარი
 ხელისუფლების რელიგიური ლეგიტიმაცია ძველ აღმოსავლეთში ხეთების მაბალთიზე.....20

Sylvia Hutter-Braunsar
 RELIGIÖSE HERRSCHAFTSLEGITIMATION IM VORDEREN ORIENT AM BEISPIEL DER HETHITER..... 22

ირინე ტატიშვილი
 ხეთური სამეფო იდეოლოგიის ზოგიერთი ასპექტი..... 71

Irene Tatišvili
 QUELQUES ASPECTS DE L'IDÉOLOGIE ROYALE HITTITE..... 108

მანანა ხიდაშელი
 მეფობის კონცეფცია ელინისტურ აღმოსავლეთში 114

Manana Khidasheli
 THE CONCEPT OF KINGSHIP IN THE HELLENISTIC EAST 135

ალექსანდრა კაპელი
 ბონეპასა და მიულერობას შორის: ბერძნულ-რომაული წარმოდგენები ეგვიპტეზე 140

Alexandra Cappel
 ZWISCHEN BEWUNDERUNG UND ABSCHEU: GRIECHISCH-RÖMISCHE VORSTELLUNGEN VON ÄGYPTEN..... 144

გასილო შმიტი
 ქრისტიანების ღვინა ნერონის მიერ.....166

რედაქტორები: ირინე ტატიშვილი
 ლევან გორდეზიანი

© პროგრამა "ლოგოსი", 2015

პროგრამა "ლოგოსი"
 ილია ჭავჭავაძის გამზირი 13 (თსუ VIII კორპუსი), ოთ. 14,
 0179 თბილისი. ტელ. 225-02-58

ISBN 978-9941-437-93-9

Tassilo Schmitt

DIE CHRISTENVERFOLGUNG UNTER NERO 167

ტასილო შმიტი

კაისრის იმპერატორი. მითოლოგია და ქრისტიანების დევნა ნერონის მიერ 190

Tassilo Schmitt

DES KAISER INSZENIERUNG. MYTHOLOGIE UND NERONISCHE CHRISTENVERFOLGUNG..... 191

მიშა მაიერი

ODIUM HUMANI GENERIS – ტაციტუსი, ნერონი და ქრისტიანები (TAC. ANN. 15, 44, 4-მისი) 224

Mischa Meier

ODIUM HUMANI GENERIS – TACITUS, NERO UND DIE CHRISTEN (ZU TAC. ANN. 15,44,4) 225

ტიმო შტიკლერი

ლეონ I და ასპარი – ვალენტინიანუს III და აეტისი. რომის კაისრების ფორმალური და რეალური ხელისუფლებისათვის მე-5 საუკუნეში 237

Timo Stickler

LEO I. UND ASPAR – VALENTINIAN III. UND AËTIUS. ZUR FORMALEN UND ZUR TATSÄCHLICHEN MACHT DES RÖMISCHEN KAISERS IM 5. JH. N.CHR. 238

ლევან გორღეზიანი

ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში
(გამომცემის სკოლა. თბილისი, 11-14 თებერვალი 2014)

მქონდა პატივი, მონაწილეობა მიმელო გამთრის სკოლის „ხელისუფლება და იდეოლოგია ძველ სამყაროში“ მუშაობაში, რითიც ძალიან კმაყოფილი ვარ.

მადლობას ვუხდის ჩემ კოლეგებს, სკოლის ხელმძღვანელს, პროფ. ნანა გონიასა და საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს, მათი დახმარება და ანა ცანავას, ამ ღონისძიებისათვის და ვულოცავ მათ პროექტის წარმატებას.

ჩემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა საზოგადოების ინტერესმა. მონაწილეობის მსურველი იმაზე თითქმის ორჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად იგარანდებოდა და მათ შორის იყვნენ როგორც ჩვენი კოლეგები, უნივერსიტეტის პროფესორები, ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტის სხვადასხვა საფეხურისა თუ სპეციალობის სტუდენტები, ერთი მოსწავლეც კი. რადგან სკოლა თბილისში გარდებოდა, ორგანიზატორებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ არავისთვის ეთქვათ უარი. ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის უნივერსიტეტების ის დოქტორანტები და მაგისტრანტები, რომლებიც სპეციალობით ახლოს არიან სიძველეთმცოდნეობასთან, აღმოჩნდნენ პროექტის ბენეფიციარები (ლანა ბურკაძე, თამაზ დარჩიძე, კახაბერ ქაჩაბაძე, გურამ ჩხატარაიშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; შორენა ბარბაქაძე, თამარ შვილაძე, ბადრი პაპავა, ნათია პერგაია, ალექსანდრე წიქორიძე, რამაზ ჭიჭინაძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ემილ ავდალიანი, მარიაში გოგალაძე, თამარ გურგენიძე, ეკატერინე კვიციანი, რუსუდან კუპრაძე, თამარ ლევაია, რუსუდან ოდილაძე, ციალა ოჩხიკიძე, მთვარისა პაპიაშვილი, ქეთევან ქვენიშვილი – თსუ), ხოლო ყველა დანარჩენ მსურველს (ირაკლი დეკანოზიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თათია კარგოზია, სალომე მჭედლიძე – თავისუფალი უნივერსიტეტი; ნინო ღლონტი – მე-20 საჯარო სკოლა; ანა ბაბაია, ქეთევან გარდაუხაძე, ანა თოფურიძე, მარიაშვილი კალაძე, ბექა კაციტაძე, ნათია კენჭიაშვილი, ლევან კოჭლამაშვილი, სალომე მურადაშვილი, გვანცა ნიკოლიშვილი, ირაკლი სალია, მანანა ფხაკაძე, თამარ ქაბაძე, ანა ქირია, თამარ ცაგარეიშვილი, ლელა ჩოთალიშვილი – თსუ) მიეცა საშუალება, თავისუფალი მსმენელის რანგში

დასწრებოდა მეცადინეობებს და, კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მიეღო სერტიფიკატი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მსმენელებმა თავიანთი ინტერესით, ცოლნით, დისკუსიაში აქტიური და აზრიანი მონაწილეობით ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს როგორც უცხოელ, ასევე ქართველ პროფესორებზე. ამის შედეგად, სკოლის დასრულების შემდეგ გაჩნდა ახალი პროექტები ჩვენ გერმანულ კოლეგებთან სხვადასხვა სახის ინტენსიური კონტაქტებისა.

თავად ლექციებიც ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი იყო, რაც საბოლოო ჯამში ყველანაირ გემოვნებასა თუ მომზადების ხარისხს შეესაბამებოდა. მოვისმინეთ როგორც ფართო პუბლიკაზე გათვლილი ზოგადი ლექციები, ასევე შედარებით ვიწრო სპეციალური აკადემიური კურსებიც და კონკრეტული კვლევის ამსახველი სამეცნიერო მოხსენებებიც. წინამდებარე კრებულში იბეჭდება მამთრის სკოლის მასალები. რამდენიმე ნაშრომი სპეციალურად მომზადდა ჩვენი სკოლისა და კრებულისათვის, აგრეთვე ავტორების თანხმობით ხელახლა ქვეყნდება პროფ. გასილო შმიგისა და პროფ. მიშა მაიერის სტატიები, რომლებიც სრულად წარმოაჩენენ გასილო შმიგის ლექციაში განხილულ პრობლემატიკას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მამთრის სკოლის კარგი ორგანიზაცია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში შექმნილი იყო საუკეთესო სამუშაო პირობები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი საკმაოდ უხვი დაფინანსება სტუმრების – გერმანელი პროფესორებისა და ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების სტუდენტების თბილისში ყოფნის ხარჯებს სრულად ფარავდა, მხოლოდ ზედმეტი ბიუროკრატიული რეგულაციები ორგანიზატორებს ურთულებდა ცხოვრებას, რაც სტუმრებსა და მონაწილეებს ნამდვილად არ უგერძენიათ.

მთლიანობაში საუკეთესო შთაბეჭდილებები გამყვა ამ მამთრის სკოლიდან და ვისურვებდი, კვლავაც გვექონოდა ამგვარი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა.

ქვემოთ, თემატური შესავლის როლში, ერთვის ჩვენი სკოლის შემაჯამებელი ლექციის მოკლე ვერსია.

როდესაც დღეს ხელისუფლებისა და იდეოლოგიის ურთიერთმიმართებაზე საუბარი, პირველ რიგში, წარმოვიდგენთ უახლესი დროის გოგალიგარულ რეჟიმებს, რომლებიც ეფუძნებოდნენ პოლიტიკურ იდეოლოგიებს – ნაციზმს, კომუნიზმს. მაგრამ თუ „იდეოლოგიას“ უფრო ფართოდ გავიგებთ – მსოფლალქმა, რწმენა-წარმოდგენები, რელიგია – მაშინ იდეოლოგიისგან მოწყვეტილი თუ თავისუფალი არც ერთი საზოგადოება, არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი ხელისუფლება არ იქნება. ხელისუფლება განსაკუთრებით დამოკიდებული იყო იდეოლოგიაზე, რადგან მას სტაბილური ფუნქციონირებისათვის, უხეში ძალის გარდა, ლეგიტიმაციაც სჭირდებოდა. ეს უკანასკნელი კი სწორედ გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებსა და მათზე დაფუძნებულ კანონებსა თუ წესებს ემყარებოდა.

სახელმწიფოს, ხელისუფლებისა და რელიგიის ურთიერთ-დამოკიდებულებაზე ბევრია დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადად, გენდენციურად. ეს არცაა გასაკვირი. ახალი დროის მეცნიერება დასავლეთში ქრისტიანობის ჩრდილქვეშ ვითარდებოდა და განმანათლებლობის ეპოქაში მან თვითდამკვიდრება სწორედ ეკლესიასთან/ რელიგიასთან დაპირისპირებით, მისი უარყოფით სცადა. პარალელურად საზოგადოებაში მიმდინარეობდა პროცესები, სადაც სამეფო ხელისუფლება და ეკლესია ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ, ცვლილებებისა და „პროგრესის“ მომხრე ხალხის პირისპირ. ამ პროცესების შედეგად, ზოგან რევოლუციის, ზოგან მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი რეფორმების შედეგად იშვა სეკულარული სახელმწიფო, სადაც პოლიტიკა და რელიგია გამიჯნულია, ხოლო მეცნიერება თითქმის ორი საუკუნის მანძილზე განიხილებოდა როგორც რწმენის, რელიგიის ერთგვარი ალტერნატივა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში, სამეცნიერო ნაშრომებში ეკლესიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიკერძოებულად აისახებოდა. აღარაფერს ვიტყვი საბჭოთა პერიოდზე, როდესაც განხორციელდა ფაქტობრივად გრადიციული რელიგიების მარქსიზმ-ლენინიზმის პოლიტიკური მოძღვრებით იძულებითი და საყოველთაო ჩანაცვლების მცდელობა. ცხადია, ძველი სამყაროს შესწავლასა და ინტერპრეტაციაში მეცნიერება ვერ ასცდა ამ ზოგად გენდენციებს. აქ უნდა გაიმიჯნოს ანტიკური სამყარო და ძველი ახლო აღმოსავლეთი.

ანტიკური ქვეყნები რენესანსიდან მოყოლებული მოექცა ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში. ანტიკურობა

აღიქმებოდა კაცობრიობის ამროვნების მწვერვალად, ანტიკურობაში ეძებდნენ საუკეთესო მაგალითებსა თუ თეორიულ რეცეპტებს სამოგადოების გონიერულად თუ სამართლიანად მოსაწყობად. შესაბამისად, ანტიკურობა, რომელსაც დღეს ვიცნობთ, დაფარულია რამდენიმე საუკუნის მანძილზე შექმნილი და უკვე სისხლში გამჯდარი კლიშეებით. ძველი აღმოსავლეთი, რომლის შესწავლაც უფრო გვიან დაიწყო, გარკვეული თვალსაზრისით, ნაკლებად ექვემდებარებოდა პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ კონიუნქტურას, მაგრამ აქ სხვა სირთულე იჩინს თავს: შემორჩენილი იყო ძალზე მწირი მასალა და მის პრობლემებზე მუშაობდა „მკვდარი“ ენების მცოდნეთა ვიწრო წრე, რაც დარგების განვითარების ასიმეტრიულობას განაპირობებდა – მუშაობდნენ იმაზე, რაც ცალკეულ მეცნიერს აინტერესებდა ან ხელეწიფებოდა, ხოლო არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც პატრონი ვერ გამოუჩნდა, პრაქტიკულად უყურადღებოდ რჩებოდა.

მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეინიშნება გარკვეული ძვრები სიძველეთმცოდნეობაში, იდეოლოგიური კლიშეების რღვევა, თემატიკის გამრავალფეროვნება და დეიდეოლოგიზაცია. გაჩნდა არაერთი საინტერესო ნაშრომი, სადაც ძველ სამყაროში სახელმწიფოსა და რელიგიის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთმიმართებაა შეძლებისდაგვარად ობიექტურად და მრავალმხრივ შესწავლილი (იხ. მაგ., Religion and Power, Divine Kingship in the Ancient World and beyond, Ed. N. Brisch, Chicago 2008). იმედი მაქვს, ჩვენმა სკოლამაც ახალი თვალთ დაანახა ახალგამრდა კოლეგებს განსახილველი პრობლემატიკა და კრებულიც გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ თვალსაზრისით.

მსოფლალქმის/რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა ეჭვს გარეშეა. ერთი მხრივ, რელიგიური წარმოდგენები განსაზღვრავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მეორე მხრივ, ხშირია პოლიტიკური მიზანშეწონილობით განპირობებული ცვლილებები რელიგიაში. ორივესათვის უამრავი მაგალითის მოგონა შეიძლება, შემოვიფარგლები მხოლოდ რამდენიმეთი.

დღევანდელი მკითხველისათვის გაუგებარია, რატომ უნდა მიეტოვებინა მეფეს წარმატებული საომარი კამპანია და შინ დაბრუნებულიყო რომელიმე სემონური დღესასწაულის სამეიმოდ, ან რატომ იყო თემიდან გაძევება ხშირად უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე სიკვდილით დასჯა. ორივე კითხვაზე პასუხი სამოგადოების კოსმოლოგიურ წარმოდგენებში უნდა ვეძებოთ. დროის ციკლური აღქმა გულისხმობდა არა მარტო გარკვეული პერიოდულობით

სხვადასხვა რიგუალის ჩაგარებას, არამედ სრულიად განსხვავებულ პრიორიტეტებს. შესაქმის აქტი საჭიროებდა გამოორებას, სამყარო – სავალდებულო განახლებას, რაც შესაბამისი რიგუალით მიიღწეოდა, ხოლო რიგუალის არჩაგარება ან არასრულფასოვნად ჩაგარება ემუქრებოდა სამყაროს წესრიგს. შესაბამისად, ახალი წლის ჯეროვნად შეხვედრა ქვეყნისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ომში გამარჯვება და მეფეც მიიჩქაროდა ტაძარში, რათა თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება – ღმერთების მსახურებით სამყაროს წესრიგის შენარჩუნება უზრუნველყო. სამყაროს წესრიგი – კოსმოსი იყო ის გერიგორია, რომელიც ღმერთებმა ქაოსს გამოვლიჯეს. ღმერთები და მათ მსახურებად შექმნილი ადამიანები ამ წესრიგის ფარგლებში არსებობდნენ. გარდაცვლილი, თუნდაც, სიკვდილით დასჯილი ადამიანი რჩებოდა ამ წესრიგის ფარგლებში, ის არ წყვეტდა კავშირს ღმერთებთან, წინაპრებთან და შთამომავლებთან. თემიდან, ქვეყნიდან განდევნილი ადამიანი გოვებდა ამ წესრიგის ფარგლებს და ხედებოდა ქაოსში, რაც, ცხადია, ყველაზე მძიმე განსაცდელი და, შესაბამისად, სასჯელი იყო. კოსმოსის ჩარჩოები განისაზღვრებოდა სამოგადოების თვალსაწიერით, რაც ხშირად გეოგრაფიული მდუღებით იყო განპირობებული. რიგ შემთხვევაში კოსმოსი შემოფარგლული იყო ერთი პატარა კუნძულით, ოაზისით უდაბნოში, ხეობით მთებში. ძველი სამყაროს დიდ სახელმწიფოებში ეს თვალსაწიერი ბევრად უფრო ფართოა: ეგვიპტელებისთვის – ნილოსი ჭორომებიდან ხმელთაშუა ზღვამდე, შუმერებისა და მათი მემკვიდრეებისათვის – შუამდინარეთი, ხეთებისთვის – ანაგოლია, ბერძენებისა და რომაელებისათვის – ხმელთაშუაზღვისპირეთი. ჩემი აზრით, ძველი ადამიანის თვალსაწიერის გაფართოების პროცესი ძალზე საინტერესოდ აისახა ერთ ურატულ კრულის ფორმულაში:

„(მეფე) ამბობს: ვინც ..., დაე მოსპონ ხალდიმ, ამინდის ღვთაებამ, მზის ღვთაებამ, ყველა ღმერთმა იგი მზისქვეშეთში, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/ შეიფარებს.“

სავარაუდოდ, „მზისქვეშეთი“ გულისხმობს იმ გერიგორიას, რომელზედაც ვრცელდება ურარტელების ღვთაებათა ძალაუფლება. ამის გარეთ უნდა იყოს მხოლოდ ქაოსი, მაგრამ ურარტელებმა უკვე იციან, რომ არსებობენ აგრეთვე სხვა ქვეყნები, სადაც სხვა ღმერთები და სხვა ხალხები ბაკონობენ. კრულის ფორმულა სწორედ თვალსაწიერის მეორე წრის, უცხო ხალხებისა და ღმერთების მიერ ცოდვილისთვის თავშესაფრის მიცემის შეზღუდვას უნდა აღგენდეს.

ჩვენი თემისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ის შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური მიზანდასახულებით ხორციელდება ცვლილებები არსებულ წესრიგში და მის შესაბამის რელიგიურ წარმოდგენებსა თუ პრაქტიკაში. ამგვარ ცვლილებებს მეცნიერები ხშირად „რეფორმებს“ უწოდებენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძველ სამყაროში ცვლილება, რეფორმა უკიდურესად უარყოფითად აღიქმებოდა. ადამიანის მოვალეობა მღვთმარებოდა ღვთაებრივი წესრიგის დაცვა-შენარჩუნებაში, მას არ ჰქონდა უფლება თვითნებურად შეეცვალა რამე. ამდენად, ნებისმიერი ცვლილება, რაც ცხოვრებას მოჰქონდა ან მმართველის მიზანმიმართული ქმედების შედეგი იყო, საზოგადოებას მიეწოდებოდა როგორც თავდაპირველი ღვთაებრივი წესრიგის აღდგენა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პირველი ისტორიული შინაარსის ჩანაწერები.

ისეთი გამოკვეთილი რეფორმის შემთხვევაშიც კი, როგორც ეხნაგონისა იყო, არ არსებობს ერთი აქტი, რომლითაც დაწესდა ახალი კულტი და გაუქმდა ძველი. ცვლილებები ხდებოდა მაინც თანდათანობით: წერილობითი წყაროებისა და გამოსახულებების მიხედვით შეიძლება გავაღვიწიოთ თვალი ახალი კულტის აღმასვლას და ძველების მივიწყებას, რაც დაგვირგვინდა ახალი დედაქალაქის დაარსებით, სადაც უკვე მხოლოდ აგონს სცემდნენ თავყანს.

თუ ცვლილებები ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ ვერაფრით ვერ დაარქმევდნენ ოდინდელი წესრიგის აღდგენას, არსებობდა სხვა გამოსავალი – ღმერთების ნება. ღმერთების შექმნილის შეცვლა, ცხადია, ღმერთებისავე ნებით შეიძლებოდა. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ახალი იმპერიების შექმნას. ეს მიკრო-შესაქმე გარკვეულწილად პირველ შესაქმეს იმეორებდა, მხოლოდ მისი მთავარი მოქმედი პირი, უზენაესი ღმერთის ნაცვლად, ღმერთების მიერ საგანგებოდ შერჩეული გმირი იყო. განსაკუთრებულობის ნიშნით უკვე მისი დაბადება იყო აღბეჭდილი. სასწაულებრივი გადარჩენა, გამრდა-დავაკვაცება სახლისა და ახლობლებისგან მოშორებით, საბოლოოდ კი წინასწარ განსაზღვრული მისიის აღსრულება. ამ სქემითაა გადმოცემული სარგონ დიდის, მოსეს, რომულუსის, კიროსის, ქრისტეს და სხვა მრავალი გამოჩენილი რეალური თუ ლეგენდარული პიროვნების ამბავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი რელიგიური „რეფორმების“ შემთხვევაშიც კი, სადაც პოლიტიკური მოტივაცია დღევანდელი მეცნიერისათვის აშკარაა, გავიჭირდება ისეთი მაგალითების დიდი რაოდენობით მოგანა, როდესაც „რეფორმატორი“ იყო მხოლოდ ურწმუნო ცინიკოსი. როგორც წესი, „რეფორმები“ თანდათანობით

მწიფდებოდა ელიგარულ წრეებში, ხოლო მათი წარმატებისათვის ხშირად ფართო საზოგადოების მიერ მათი მიღება-გამიარებაც იყო საჭირო.

კვლავ ეხნაგონს რომ დავუბრუნდეთ, ერთი ღმერთის იდეა არც მისი გამოგონება იყო და არც ახირება, არამედ ეგვიპტური რელიგიის ხანგრძლივი განვითარებისა და ქურუშთა „თეოლოგიური“ მუშაობის შედეგი.

აქ არ შეეხერხებოდა მოგადად რელიგიის წარმოშობისა და „პირველყოფილი მონოთეიზმის“ თეორიულ საკითხებზე და რელიგიის ისტორიის მხოლოდ იმ მონაკვეთს შევხებით, რომელიც წერილობითი წყაროებით დასტურდება. აქ უძველესი ეგვიპტე პოლითეიზმია. მცირე პოლიტიკური ერთეულის პანთეონი ხშირად სამეფო ოჯახსა ჰგავს და სულ რამდენიმე წევრისაგან შედგება.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეთნიკური პროცესები – მცირე წარმონაქმნების გაერთიანება უფრო მოზრდილ სახელმწიფოდ, იმპერიების ჩამოყალიბება დაპყრობათა გზით, მოსახლეობის ეთნიკური თუ დემოგრაფიული ცვლილებები – იწვევს კულტის სფეროში ცვლილებათა საჭიროებას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ თეოლოგიურ სამუშაოს მოითხოვს. მართალია, პოლითეისტური რელიგიები თავის არსით შემწყნარებლურია – თუ კაცი უშვებს რამდენიმე ღვთაების არსებობას საკუთარ პანთეონში, მას არ აწუხებს ის ფაქტი, რომ სხვას სხვა ღმერთები ჰყავს, მაგრამ რამდენიმე ხალხის თუ გრადიციის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებისას მაინც ღვებოდა მათი ღმერთების იერარქიის საკითხი – პირველი ადგილი ხომ მხოლოდ ერთი იყო. ამ პრობლემის დაძლევის რამდენიმე მოდელი არსებობს. კარგი გამოსავალი იპოვეს ბერძნებმა. მათი რელიგიის ჩამოყალიბება მათ ერთ ხალხად ჩამოყალიბებას სდევდა თან და სამხრეთ ბალკანეთის უძველესი მოსახლეობისა და დაახლ. ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულს იქ მისული ინდოევროპელი გომების შერევის შედეგად მოხდა. ინდოევროპელთა უზენაეს ღმერთს, ცისა და სინათლის გამგებელს, ზევსის წინაპარს ადგილზე უზენაეს ღვთაებათა როლში ლოკალური მიწის ქალღმერთები დახვდნენ. ხალხებისა და გრადიციების შერწყმის პროცესში ზევსი შეეუღლა ადგილობრივ ქალღმერთს. უკვე ჰომეროსისა და ჰესიოდეს დროს, როდესაც ბერძნები ეცადნენ ლოკალური პანთეონების სისტემატიზაციის შედეგად ზოგადელინური შექმნათ, ზევსის ოფიციალურ მეუღლედ მიკენის – გვიანბრინჯაოს ხანის საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრის – უზენაესი ქალღმერთი პერა გახდა. სხვა მნიშვნელოვანმა ქალღმერთებმა ზევსის

უახლოესი ნათესავების ან საყვარლების ადგილი დაიმკვიდრეს, ხოლო მოგი ქალღმერთი დაემცრო მოკვდავ ქალამდე, რომელიც გეგს თვალში მოუვიდა და რომელმაც მას გმირი ვაჟი გაუჩინა. სწორედ ამგვარი პროცესის შედეგად იქცა ელინთა უმუნაესი ღვთაება ასეთ მექალთანედ, მით უმეტეს, რომ ეს არ ეწინააღმდეგებოდა წარმოღვევნას ცის გამგებლის ნაყოფიერებასთან მჭიდრო კავშირის იდეას.

ხეთი მეფეების თუ ქურუმების მიერ ნაპოვნი გზა შეესაბამება ანატოლიის ეთნიკურად ჭრელ სურათს და, გარკვეულწილად, ნაკარნახევია ლურსმული დამწერლობის თავისებურებებით. როგორც ცნობილია, ეს დამწერლობა შექმნეს შუმერებმა, მათგან კი წინა ამიის ბევრმა სხვა ხალხმა გადაიღო – სემიტმა ბაბილონელებმა და ასურელებმა, კავკასიელთა მონათესავე ხურიტებმა, ინდოევროპელმა ხეთებმა და სხვ. დამწერლობა სილაბურ-იდეოგრაფიულია, ანუ სიტყვათა უმეტესობა ფონეტიკურად გადმოიცემა მარცვლების შესაბამისი ნიშნებით, მაგრამ ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვებისათვის არსებობს ცალკე ნიშანი, იდეოგრამა. ამგვარი ნიშნებისათვის ჩვენ, როგორც წესი, მათი შუმერული ან აქადური მნიშვნელობა ვიცით. ყველა ხალხი, ცხადია, იდეოგრამებს საკუთარ ენაზე კითხულობდა. ღმერთების სახელების იდეოგრამებით გადმოცემა, ერთი მხრივ, კარნახობდა ხეთებს მათ ღაჯგუფებას ფუნქციების მიხედვით, ერთგვარი ლექსიკონის შედგენას, მეორე მხრივ, ხეთების იმპერიაში შემავალ ხალხებს უადვილებდა ხეთური პანთეონის გათავისებას. მისი, ამინდის თუ სხვა ღვთაების აღმნიშვნელი შუმეროგრაფიკა ყველას საკუთარ ენაზე შეეძლო წაეკითხა და საკუთარ ღვთაებასთან გაეგივიებინა (უფრო დაწვრილებით იხ. ი. ტატიშვილი, ხეთური რელიგია, თბილისი 2004, აგრეთვე მისივე სტატია ამ კრებულში).

ეგვიპტეში პროცესი სხვაგვარად წარიმართა. აქ ქვეყნის ფორმირება ეთნიკურად მონათესავე პოლიტიკური ერთეულების, ე.წ. ნომების გაერთიანებით მოხდა. ამ ხალხის მსოფლალქმა პრინციპულად ერთი იყო, ჩვენამდე მოღწეული კოსმოგონიები ერთი მოღელის ფარგლებში ეტევა, თუმცა განსხვავდებოდა ლოკალური პანთეონები და კულტები. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტური რელიგიური ტექსტები უძველესი დროიდან გვაქვს, მათ უკვე ეტყობა ქურუმთა მუშაობის კვალი. ამის საუკეთესო დასტურია ის გახლავთ, რომ შემორჩენილი კოსმოგონიები ღმერთისა და ურჩხულის მრავალსერიიან ბრძოლას კი არ გადმოგვცემს, არამედ სტადიალურად უფრო გვიანდელ, ისტორიულად დალაგებულ შესაქმნის ამბავს. ამგვარი ლოკალური კულტების საფუძველზე

ზოგადეგვიპტურის შესაქმნელად ქურუმებმა სინკრეტიზმის მეთოდს მიმართეს – ერთმანეთს შეურწყეს პოზიციით ან ფუნქციით მსგავსი ღვთაებები. ეს პროცესი ისე შორს წავიდა, რომ უმუნაეს ქურუმთა ვიწრო წრეში გაჩნდა უმნიშვნელოვანესი იდეა: ყველა კულტი ერთი უნივერსალური ღმერთის გამოვლინების ფორმა იყო. ეს იდეა სახიფათოდ ჩაითვალა, პირველ ყოვლისა ქურუმთა ხელისუფლებისა და სიმდიდრისათვის, რის გამოც დიდი ხნის მანძილზე მას საიდუმლოდ ინახავდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეხნატონმა თავის ცნობილი რეფორმით მხოლოდ გათქვა ეს საიდუმლო, მაგრამ ერთღმერთიანობამ მაშინ ვერ მოიკიდა ფეხი.

განსახილველი თემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია სამეფო ხელისუფლების მიმართება ღმერთებთან/ღვთაებრივთან.

როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი ხელისუფლების მეგნაკლებად სტაბილური ფუნქციონირებისათვის საჭიროა, რომ: ა. ის იყოს საჭირო სამოგადლობისათვის (მე ვიზიარებ იმ ამრს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, თუნდაც გოგალიგარული, გარკვეულწილად ეფუძნება სამოგადობრივ კონტრაქტს. მმართველს აქვს იმდენი ძალაუფლება, რის ნებასაც მას ხალხი აძლევს, რამე სპეციფიური პროცედურით თუ ოდენ თმენით); ბ. მას ჰქონდეს საკმარისი ძალა მისი ფუნქციის განსახორციელებლად; გ. მას ჰქონდეს ლეგიტიმაცია – არსებობის სამართლებრივი საფუძველი. ლეგიტიმაცია სჭირდება როგორც ზოგადად სახელისუფლებო ინსტიტუტს, ასევე კონკრეტულ ხელისუფალსაც.

ძველ სამყაროში ამ ლეგიტიმაციის წყარო ღმერთები იყვნენ. სამეფო ხელისუფლება მათ მიერ დამყარებული ღვთაებრივი წესრიგის ნაწილს წარმოადგენდა, რაც შემთხვევაში თავად ღმერთები იყვნენ პირველი მეფეები (ეგვიპტე, შუამდინარეთი), ხოლო ცალკეული მეფე, სულ ცოტა, ღმერთების რჩეული იყო, ზოგჯერ კი ღვთაების შვილად ან სულაც ღვთაებად მიიჩნეოდა. მეფისა და ღვთაების ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით ძველი ქვეყნები და ცივილიზაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

შუამდინარეთში მეფე თავდაპირველად მხოლოდ დიდი, ძლიერი კაცი იყო, როგორც ეს თავად გერმინიდან ჩანს (შუმერულად: lugal – მეფე, lu – კაცი, gal – დიდი). ასეთ კაცს დროებით, ან სულაც ერთჯერადად, ლაშქრის სარდლობა ეკისრებოდა. ქალაქის სამეურნეო და რელიგიურ ცხოვრებას კი ქურუმი განაგებდა. ქალაქ-სახელმწიფოებში სამხედრო საქმისა და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობის მრდის პარალელურად იზრდებოდა მეფის როლი და ძალაუფლება, განსაკუთრებით მოზრდილი

პოლიტიკური ერთეულების გაჩენის შემდეგ, თუ აღრეულ ეტაპზე ღვთაებრივი ლეგიტიმაცია ღვთისმსახურის, ქურუმის ხელისუფლებას ჰქონდა, ხოლო „დიდი კაცი“ უფრო ინდივიდუალურ გზად შეიძლება მოგვევლინოს (როგორც, მაგალითად, ურუქის ნახევრადლეგენდარული მეფე გილგამეში), აქადის მმართველობის ქვეშ გაერთიანებულ შუამდინარეთში სულ სხვა ვითარებაა. იმპერიის დამაარსებელი სარგონი ღვთის რჩეულია და თავიდანვე საგანგებო მისიით მოველინა ქვეყანას, ხოლო მისი შვილიშვილი ნარამსუენი საერთოდ ღმერთად აცხადებს თავს. მეფის გაღმერთება შუამდინარეთში მაინც ძალზე ეპიზოდურია. შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეამ ფეხი ვერ მოიკიდა.

სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ ეგვიპტეში, სადაც მმართველი უხსოვარი დროიდან გაღმერთებული იყო. ეს, სავარაუდოდ, კარგად ესადაგებოდა ეგვიპტელთა წარმოდგენებს საიქიო ცხოვრებაზე, სულის უკვდავებასა და მოგზაურობაზე. პირველი ფარაონები საერთოდ უზენაეს ღვთაებათა რანგში განიხილებოდნენ. ფარაონის ერთგვარ დამცრობაზე ღვთაებრივ იერარქიაში უნდა მიუთითებდეს პირამიდების გეგმების გაჩენა მეხუთე დინასტიის დასაწყისში. ამ შელოცვების ფუნქცია უზენაესი ღმერთების წინაშე ფარაონის სულის წარდგენა უნდა ყოფილიყო. ღვთაების სტატუსზე სულაც უარი განაცხადა ეხნატონმა და ბრძანა მეფე ისე გამოესახათ, როგორც ის სინამდვილეში გამოიყურებოდა. მართალია, შემდეგი ფარაონები კვლავ გაღმერთებულნი იყვნენ, მაგრამ მათი გამოსახულებები ახალი სამეფოს ბოლოს ბევრად უფრო ადამიანურია, ვიდრე აღრეულ ხანაში, ღმერთების წინაშე მლოცველი ფარაონის გამოსახულებასაც კი ვხვდებით. ვფიქრობ, ფარაონის დამცრობა ღვთაებრივ იერარქიაში უნდა ყოფილიყო სინკრეტიზმის მეშვეობით უნივერსალური, ერთადერთი ღმერთისკენ სულის პროცესის ლოგიკური შედეგი: სანამ ნომში ორიოდ ღმერთი და ერთი მეფე იყო, ყველა დაახლოებით ერთი რანგისად აღიქმებოდა. მრავალღმერთიან პანთეონში უკვე სინკრეტული უზენაესი ღვთაება დაწინაურდა, ფარაონი კი ერთ-ერთ ღვთაებად დარჩა. ღმერთების დიდი რაოდენობის შერწყმის შედეგად მიღებული უნივერსალური ღვთაება კი უკვე იმდენად ამაღლდა, რომ მეფე მის წინაშე ღამის მოკვდავს გაუთანაბრდა. სავარაუდოდ, სწორედ ქვეყნის რელიგიური თუ პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები ელო საფუძვლად ეგვიპტის მმართველთა ნუსხაში დადასტურებულ დაჯგუფებებს (მაგ., გურინის პაპირუსი), რომლებიც მანეთონის „ეგვიპტის ისტორიის“ გავლენით გრადიციულად „დინასტიებად“ მოიხსენიებიან. სიგყვის მნიშვნელ-

4591-1645
2879

ობა ბერძნულსა თუ დღევანდელ ენებში, თითქოს, ერთი დინასტიის შიგნით მეფეთა შორის ნათესაურ კავშირებზე უნდა მიუთითებდეს, მაგრამ ეს ასე არაა, როგორც დამაჯერებლად აჩვენა მ. ხვედე-ლიძემ (რას ნიშნავს მანეთონის „დინასტია“? კავკასიურ-ახლო-აღმოსავლური კრებული 14, თბილისი 2011, 234-265). თუ გავიხსენებთ, რომ ეგვიპტელთათვის ფარაონი იყო მოკვდავ სხეულში ჩასახლებული ღმერთი, ეს არცაა გასაკვირი. მართალია, ეგვიპტელები მბრძანებლის სხეულზეც მრუნავდნენ და გარდაცვალების შემდეგ მას მუმიფიკაციის მეშვეობით საუკუნოდ ინახავდნენ, მათთვის მეფე მაინც, პირველ რიგში, ღმერთი იყო. მაშ რატომ უნდა შეედგინათ ფარაონთა სიები მათ მოკვდავ სხეულთა ნათესაობის ნიშნით?

ხეუბთან მეფისა და სამეფო ხელისუფლების მიმართებას ღმერთებთან ამ კრებულში ორი სტატია ეძღვნება. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ ხეთი მეფე არ იყო ოფიციალურად გაღმერთებული, მაგრამ ყველანაირად ცდილობდა, მის ქვეშევრდომებს ღმერთი თუ არა, ღმერთებთან მაქსიმალურად ახლო მდგომი მაინც ჰგონებოდათ.

მმართველთა გაღმერთებას ვხვდებით ასევე ელინისტურ სამყაროსა და რომის იმპერიაში, მაგრამ აქ ხელისუფლების ღვთაებრიობის იდეასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე კონკრეტული მმართველის ღმერთად აღქმასთან. ალექსანდრე მაკედონელი მისი ექსპედიციის მზადებისასაც მრუნავდა მისი ღვთაებრივი წარმოშობის იდეის დანერგვას და ეგვიპტეშიც ამონის ქურუმებისგან მოიპოვა ამის დასტური, მაგრამ მაინც საეჭვოა, ბერძენ ფილოსოფოსთა მოწაფეებს თუნდაც ალექსანდრე მართლა ღმერთი ჰგონებოდათ. ელინისტურ აღმოსავლეთში ხელისუფლების ღვთაებრიობის იდეამ, გარკვეული ვარიაციებით, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგად იმუშავა. სავარაუდოდ, ამ კონკრეტულ უნდა განვიხილოთ ფარნავაზის მიერ ქართლში დაფუძნებული არმაზის სინკრეტული კულტი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია სამართალი, რომელიც ძველ სამყაროში მჭიდროდაა გადაჯაჭვული რწმენა-წარმოდგენებთან, რელიგიასთან.

სახელმწიფო მოწყობა, სამართლის ძირითადი პრინციპები, ქვეყნის ძირითადი ნორმები ათასწლეულების მანძილზე ღვთაებრივი წესრიგის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა. ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც მმართველი გაღმერთებული იყო, მაგ., ეგვიპტეში, კონკრეტული რეგულაციებიც და სამართლებრივი პროცედურებიც ღვთაებრივი ნების

სუფრთხილ ე.ი. მმართველის
ეპილოგიის ინსტიტუტის
ბიბლიოთეკა

გადასაწყვეტი რწმენა-წარმოდგენებისა და ალათის გათვალისწინებით.

შუამდინარეთსა და მცირე აზიაში ჩნდება კამუისტიკური სამართლის კრებულები, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილი ხამურაბის კანონებია. დღეს ეს კანონები, ერთი შეხედვით, პრიმიტიულად გვეჩვენება. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ სამართლის პრინციპები რწმენის, რელიგიის სფერო იყო, ხოლო პროცედურები – ალათისა და ბიუროკრატიის, ისინი ანგლო-საქსონური სამართლისგან დიდად განსხვავებულად აღარ მოგვეჩვენება.

ბერძნებმა სამართლებრივ აზროვნებას ახალი მიმართულება მისცეს – ადამიანი აქციეს კანონმდებლად, ხოლო რომაელებმა სრულყოფს სამართალი, პირველ რიგში, იმით, რომ პრინციპებიც, პროცედურაც და კამუისტიკაც გააერთიანეს, რითიც, უაქტობრივად თანამედროვე სამართლებრივ აზროვნებას ჩაუყარეს საფუძველი.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რომაელებს ჰყავდათ ერთგვარი წინამორბედი. მათზე მთელი ათასწლეულით ადრე ხეთებმა გამოიჩინეს თავი საგანგებო სამართლებრივი შეგნებით. ისინი პატივს სცემდნენ სამართალს, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებიც კი მეფისაგან მეგ-ნაკლებად დამოუკიდებელ სასამართლოში განიხილებოდა (მურსილისა და მუვათალის სასამართლო პროცესები მათი დედინაცვლების წინააღმდეგ, ხათუსილის წინააღმდეგ აღძრული საქმის განხილვა სასამართლოში და მხარეების მზაობა, დაემორჩილონ სასამართლოს გადაწყვეტილებას). მეციც, თავად ღმერთებთან ურთიერთობაშიც მეფე ხშირად ისე გამოდის, თითქოს მხარე იყოს სასამართლოში. ეს ეხება სიგყვის აგებასაც და გამოყენებულ გერმინოლოგიასაც ე.წ. arkuwar (შდრ. „არგუმენტი“, ორივე სიტყვა ერთი ძირიდანაა) გიპის ლოცვებში. მათი საუკეთესო ნიმუშები მურსილი II-ის სახელითაა შედგენილი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თელიფინუს ედიქტი, რომლითაც ხეთების სამეფოში გახგის მემკვიდრეობის წესი დადგინდა. გარდა ამისა, გექსტში ვხედავთ სამართლებრივი პრინციპებისა (პირადი პასუხისმგებლობა, სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობა) და სასამართლო პროცედურის დანერგვის მცდელობას.

ამ მოკლე მიმოხილვას, ცხადია, არ აქვს პრეტენზია სრულად მოიცვას ჩვენი სკოლის თემატიკა. აქ მხოლოდ რამდენიმე საკვანძო საკითხზე შევჩერდით.

Levan Gordeziani

POWER AND IDEOLOGY IN ANCIENT WORLD (WINTER SCHOOL, TBILISI 11-14.02.14)

This volume contains materials of the winter school *Power and Ideology in Ancient World* lead by prof. Nana Tonia, organized by the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Classical Philology, Byzantine and Modern Greek Studies, with financial support of the Ministry of Education and Science of Georgia. Several works have been developed specially for our school and our volume, the articles of Prof. Dr. Tassilo Schmitt and Prof. Dr. Mischa Meier that correspond to the lecture of prof. Schmitt, are re-published with the consent of the authors.

The short report is followed by personal impressions of the author from the school and an overview of the discussed problems.

